ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: 61-01190843019
თარიღი: 27/03/2019
პინი: 5361

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: შპს მედგრუპ ჯორჯია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205206873
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ოდიშელიძის ქ., N16

ქალაქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში შემოვიდა თქვენი №10/01190811679-61 წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებით, კერძო ნაკვეთთან, მისასვლელით სარგებლობის შესახებ საკითხის განხილვას.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმედეგი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება(№81.02.01.381 საკადასტრო ერთეული) გამოყენებულ იქნას კერძო საკუთრებად რეგისტრირებულ(#81.02.21.679 საკადასტრო ერთეული) ნაკვეთთან მისასვლელად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

გაცნობებთ, რომ თუ იგეგმება გზის მოწყობის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებით, განცხადება სამუშაოთა შეთანხმების მოთხოვნით, შესაბამისი ელექტრონული ფორმით წარმოდგენილ უნდა იქნეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოში (ოფიციალური საიტი: http://iauction.ge, სერვისი – ხაზობრივი ნაგებობა, მომსახურება - სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა). ასევე, ელექტრონულ განცხადებას უნდა დაერთოს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, ფოტომონტაჟი / გენ.გეგმა (განსახორციელებელი სამუშაოების აღწერით / ასახვით, საპროექტო გზისთვის გამოსაყენებელი ტერიტორიის განსაზღვრით, ზუსტი ზომების მითითებით), გზის მოსაწყობად საჭირო სამუშაოების წარმოებისთვის გამოსაყენებელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის აზომვითი ნახაზის ელ.ვერსია (shape.file-ში, პოლიგონალურ ფენაში).

აღვნიშნავთ, რომ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ელექტრონული ფორმით, განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს მასში დასმული საკითხის განხილვას.

გიორგი გვენეტაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-ადმინისტრაციული სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი